თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა

კომისიის სხდომის

ოქმი N 3

ქ. თელავი 2019 წლის 20 მარტი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე ლევან კოჭლოშვილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გიგა მამუკელაშვილი, იოსებ პარწიკანაშვილი, ნიკოლოზ მაისურაძე, გიორგი ქიზიყელაშვილი, ლევან ლილუაშვილი, ბაადურ რევაზიშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა: თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი გიორგი ენუქიძე.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №71 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს: ლ. კოჭლოშვილი

2. თელავის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა მშობელთა კავშირი ,,ლამპარი''-ის წერილის განხილვის თაობაზე.

მომხს: ლ. კოჭლოშვილი

მოისმინეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №71 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: საკითხთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ სამსახურის უფროსმა. მან აღნიშნა, რომ ცვლილების შეტანის აუცილებლობა გამომდინარეობს თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის ფუნქციონირებისას გამოვლენილი საჭიროებებიდან. კერძოდ, სოციალური პროგრამის მე-4 მუხლს ემატება მე-10 პუნქტი: „0-1 წლამდე ასაკის ბავშვთა ხელოვნური კვების პროდუქტებით დაფინანსების ქვეპროგრამა“.

აღნიშნულ სოციალური პროგრამას ახორციელებს სოციალური მომსახურების სააგენტო, მაგრამ ჩვილ ბავშვთა ოჯახებს კვების მომლოდინეთა სიაში ყოფნა უწევთ 2-3 თვის მანძილზე, ამიტომ აღნიშნული მომსახურების შევსება მოწყვლადი ოჯახების ბავშვებისათვის უმნიშვნელოვანესია. ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა საორიენტაციო რაოდენობა შეადგენს 32-ს.

დღეის მდგომარეობით, „ონკოლოგიური დაავადების მქონე პირთა დაფინანსების ქვეპროგრამა“ არ ითვალისწინებს სამედიცინო დანიშნულების დამხმარე საშუალებების დაფინანსებას. აღნიშნულთან დაკავშირებით, ონკოლოგიური დაავადების მქონე ბენეფიციარების მხრიდან არის მომართვიანობა და ვინაიდან, ქვეპროგრამით არ არის გათვალისწინებული სამედიცინო დანიშნულების დამხმარე საშუალებების დაფინანსება, ვერ ხორციელდება ბენეფიციარების განცხადების დაკმაყოფილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ცვლილება შედის თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტში და „ონკოლოგიური დაავადების მქონე პირთა დაფინანსების ქვეპროგრამას“ ემატება სამედიცინო დანიშნულების დამხმარე საშუალებების დაფინანსება, რაც უფრო სრულყოფილს გახდის ქვეპროგრამის ფუნქციონირებას.

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს აღნიშნულ ცვლილებას.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №71 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტი წარედგინოს საკრებულოს სხდომას განსახილველად.

მოისმინეს: 2. თელავის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა მშობელთა კავშირი ,,ლამპარი''- ის წერილის განხილვის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: ლევან კოჭლოშვილმა აღნიშნა, რომ დღემდე მოქმედი სოციალური პროგრამის ფარგლებში ეპილეფსიის დიაგნოზის მქონე მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ მედიკამენტებისა და დამხმარე საშუალებების ქვეპროგრამით, ასევე სტაციონალური და ამბულატორიული მომსახურებით.

გადაწყვიტეს: კომისიამ არ მიიჩნია მიზანშეწონილად საკითხის განხილვა საკრებულოს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარე ლევან კოჭლოშვილი